



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

№ 121

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №80 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 26.02.2015. N010250020.35.123.016290/, კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართს დაემატოს 198-ე პუნქტი შემდეგი რედაქციით:

N	ადგილმდებარეობა	ფართობი	ამონაწერის N
198	ფალიაშვილის ქუჩა N8-ის აღმოსავლეთით	300.0	03.03.21.199

2. შეიცვალოს დადგენილებით დამტკიცებული N2 დანართის 22-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

N	ადგილმდებარეობა	ფართობი	ამონაწერის N
22	გუგუნავას ქუჩა N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი	2614.0	03.04.30.167

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „პარკინგსერვისს“ შორის 2015 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებულ N28 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.